## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება №316
## 2013 წლის 24 აპრილი

## ქ. თბილისი

# „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ' საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 24 მარტის №384 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის "ა" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ' საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 24 მარტის №384 ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით განსაზღვრული წვევამდელთა საკარანტინო სანივთე ქონების ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წვევამდელთა საკარანტინო სანივთე ქონება

| № | სანივთე ქონების დასახელება | განზომილება | ტარების ნორმა | |
|---|---|---|---|---|
| | | | რაოდენობა | ვადა (წელი) |
| საკარანტინო (კომუფლირებული) | | | | |
| 1 | ქურთუკი | ცალი | 1 | 2 |
| 2 | შარვალი და ხალათი | კომპლექტი | 1 | 1 |
| 3 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყვილი | 1 | 1 |
| 4 | მაისური | ცალი | 1 | 6 თვე |
| 5 | ქუდი(კეპი) | ცალი | 1 | 1". |

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**შინაგან საქმეთა მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**